

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნა – შუქ-ჩრდილები

იოსებ კელენჯერიძე

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი

Human Rights European Court Advisory Opinion: Pros and Cons

Ioseb Kelenjeridze

Ph.D. Student, St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia

რეზიუმე

წინამდებარე თემა ეძღვნება ევროპული სასამართლოს ერთ-ერთი ფუნქციის - საკონსულტაციო დასკვნის გაცემის სამართლებრივ ასპექტებს. სტატიაში ყურადღება გამახვილებულია საკონსულტაციო დასკვნის როგორც დადებით, ასევე იმ პრობლემურ საკითხებზე, რომლებიც კონვენციის მე-16 დამატებით ოქმში იქნა გაცხადებული.

სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნის ფუნქცია, რასაც კონვენცია გვთავაზობს, წარმოადგენს გზამკვლევს სამართლებრივ საკითხებში, ვინაიდან პოლიტიკურმა ორგანომ შეიძლება სწორად ვერ გადანყვიტოს სამართლებრივი საკითხი. რაც შეეხება კონვენციის მე-16 ოქმით შემოტანილ სიახლეს - საქმის გადანყვიტის პროცესში საკონსულტაციო დასკვნის გაცემას ეროვნული უმაღლესი იურისდიქციებისათვის - აღნიშნულმა შეიძლება შეზღუდოს ეროვნული სასამართლოების დამოუკიდებლობა და ისინი მოექცნენ სტრასბურგის სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნის გავლენის ქვეშ.

ამასთანავე, შეიძლება სტრასბურგის სასამართლო აღმოჩნდეს თავის მიერ გაცემული საკონსულტაციო დასკვნის მძევალი, ვინაიდან ეროვნული სასამართლოების მიერ საკონსულტაციო დასკვნის საფუძველზე მიღებული გადანყვიტება შესაძლებელია შემდგომში სტრასბურგის სასამართლოში გასაჩივრდეს.

მაშასადამე, აღნიშნული ოქმის რატიფიკაცია ამცირებს ეროვნული იურისდიქციების დამოუკიდებლობის ხარისხს. აღნიშნული საკითხი ლეგიტიმური თვალსაზრისით ჯერ-ჯერობით არ არის სათანადოდ შესწავლილი და გამოკვლეული. წინამდებარე სტატია წარმოადგენს, სამართლებრივი მართლმზომელობის კონტექსტში, ამ რისკების მეცნიერულ დონეზე გაანალიზებას.

RESUME

This study explores Legal Aspects of Advisory Opinion which is one of the functions of the European Court of Human Rights. The study describes positive as well as those problematic issues of Advisory Opinion which have been outlined in Protocol No.16 to the Convention on the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms. The aforementioned topic has not yet been explored from a legitimate perspective.

The function of Advisory Opinion, as proposed by the European Court of Human Rights, is to provide a legal guideline since a political body may not properly decide a legal issue. Provision of an Advisory Opinion to the highest national jurisdictions relating to pending cases, as a novelty introduced by Protocol No.16, may itself limit the independence of and cause the impact on national courts.

Apart from that, the European Court of Human Rights may itself be impacted by its Advisory Opinion as a decision of national courts could be appealed to the European Court of Human Rights.

Ratification of Protocol No.16, therefore, reduces the level of independence of national jurisdictions. This study aims to analyze those risks within the scientific level in context of legal measurement.

შესავალი

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ფუნქციებში მხოლოდ მართლმსაჯულების აღსრულება როდი შედის. რა თქმა უნდა, მართლმსაჯულების განხორციელება სასამართლოს უმთავრესი ფუნქციაა, მაგრამ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს გააჩნია აგრეთვე ისეთი ფუნქციები, როგორცაა კონვენციის ინტერპრეტაცია, პროპაგანდა და საკონსულტაციო დასკვნის გაცემა.

კონვენციის ინტერპრეტაცია გულისხმობს სასამართლოს მიერ კონვენციის რომელიმე მუხლის განმარტებას. მაგალითად, სასამართლომ ინტერპრეტაციის შედეგად გააფართოვა კონვენციის მე-8 მუხლის საზღვრები, რომელიც იცავს პირად და ოჯახურ ცხოვრებას და მიიჩნია, რომ პირადი ცხოვრების უფლება გულისხმობს ასევე ეკოლოგიურად სუფთა გარემოში ცხოვრების უფლებას. მაშასადამე, კონვენციაში არაპირდაპირ იქნა შემოტანილი ეკოლოგიური უფლებები.¹

რაც შეეხება სასამართლოს მიერ პროპაგანდის ფუნქციის განხორციელებას, იგი ითვალისწინებს ცოდნის გავრცელებას კონვენციაში გათვალისწინებული უფლებების შესახებ. სასამართლოს ყველა თანამშრომელს ევალება განავრცოს ცოდნა აღნიშნული მიმართულებით.

1. საკონსულტაციო დასკვნის კონვენციური მოთხოვნები

ყველა სხვა ფუნქციებს შორის, სასამართლოს გააჩნია ისეთი მნიშვნელოვანი ფუნქცია, როგორცაა საკონსულტაციო დასკვნის გაცემა. საკონსულტაციო დასკვნის გაცემა გათვალისწინებულია ევროპული კონვენციის 47-ე მუხლით, რომლის თანახმადაც, სასამართლოს შეუძლია, მინისტრთა კომიტეტის თხოვნით, გასცეს საკონსულტაციო დასკვნები სამართლებრივ საკითხებზე, რომლებიც ეხება კონვენციისა და მისი ოქმების განმარტებას. საკონსულტაციო დასკვნას სასამართლოს სთხოვს მინისტრთა კომიტეტი დასწრების უფლების მქონე წარმომადგენელთა ხმების უმრავლესობით. ამის შემდგომ, სასამართლო თავად გადაწყვეტს, განეკუთვნება თუ არა სასამართლოს კომპეტენციას მინისტრთა კომიტეტის მიერ წარდგენილი თხოვნა საკონსულტაციო დასკვნის შესახებ და გასცეს თუ არა საკონსულტაციო დასკვნა.

¹ სტრასბურგის სასამართლომ კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევად მიიჩნია ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნის გამონაბოლქვით გარემოს დაბინძურება, რითაც ზიანი ადგებოდა ადამიანების პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვის უფლებას. აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ დააადგინა, რომ „გარემოს მნიშვნელოვანმა დაბინძურებამ, შეიძლება მართლაც მოახდინოს გავლენა ინდივიდთა კეთილდღეობაზე და ხელი შეუშალოს მათ, რომ ისარგებლონ თავიანთი საცხოვრებლით. აღნიშნული უარყოფით გავლენას მოახდენს მათ პირად და ოჯახურ ცხოვრებაზე, მიუხედავად იმისა, მათი ჯანმრთელობა აღმოჩნდა თუ არა მნიშვნელოვანი საფრთხის ქვეშ“. 1994 წლის 9 დეკემბრის საქმე N303-C. ლოპეზ ოსტრა ესპანეთის წინააღმდეგ § 51.

მაშასადამე, სასამართლოს აქვს საკონსულტაციო დასკვნის გაცემის არა ვალდებულება, არამედ უფლებამოსილება და თავად წყვეტს, გასცეს თუ არა საკონსულტაციო დასკვნა. კონსულტაციის გაცემა ზოგადად არ წარმოადგენს სასამართლოს ფუნქციას, მაგრამ ვინაიდან ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლო წარმოადგენს ევროპის საბჭოს სტრუქტურულ ერთეულს, ამიტომ მას, გამონაკლისის სახით, გააჩნია ეს სპეციფიკური ფუნქცია, რათა მოახდინოს ორგანიზაციის სხვა სტრუქტურების მეტი გარკვეულობა სამართლებრივ საკითხებში.² ამგვარად, მთავარი საფუძველი საკონსულტაციო დასკვნის გაცემისა, არის ევროპის საბჭოს ინფორმირება სამართლებრივი კუთხით ამა თუ იმ პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით.

საკონსულტაციო დასკვნის გაცემის ფუნქცია აქვს ასევე მსოფლიოს სხვა დიდ იურისდიქციებს. მაგალითად გაეროს გენერალურ ასამბლეას ან უშიშროების საბჭოს, შეუძლიათ მოსთხოვონ საერთაშორისო სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნები ნებისმიერ იურიდიულ საკითხზე³. ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკული სასამართლოს რეგლამენტი ითვალისწინებს საკონსულტაციო დასკვნის გაცემის შესაძლებლობას აფრიკული კავშირის სტრუქტურული ორგანოების, წევრი სახელმწიფოების ან კავშირის მიერ აღიარებული ორგანიზაციების თხოვნის შემთხვევაში.⁴

არის მთელი რიგი საკითხები, რომლის დროსაც ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არა აქვს საკონსულტაციო დასკვნის გაცემის უფლება. მაგალითად, ისეთ საქმეზე, რომელიც მომავალში შეიძლება კონვენციის სამართალწარმოების საგანი გახდეს და სასამართლოს დავის რეჟიმში მოუწიოს მისი განხილვა. ასეთ შემთხვევაში სასამართლო უარს განაცხადებს საკონსულტაციო დასკვნის გაცემაზე, რათა შემდგომში არ გახდეს თავის მიერ გაცემული დასკვნის „მძევალი“. მაშასადამე, საკონსულტაციო დასკვნები არ უნდა ეხებოდეს კონვენციაში და მის ოქმებში დაცული უფლებების განმარტებას - „ის რაც შეიძლება განხილულ იქნეს სასამართლო წესით, არ შეიძლება საკონსულტაციო დასკვნების მეშვეობით მოგვარდეს“.⁵

საკონსულტაციო დასკვნებს იღებს დიდი პალატა ხმათა უმრავლესობით. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო გასცემს საკონსულტაციო დასკვნას, მას აქვს მისი დასაბუთების ვალდებულება. „სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნები უნდა იყოს დასაბუთებული“.⁶ დასაბუთება არის ნდობის მთავარი საფუძველი. ნებისმიერი გადაწყვეტილების დასაბუთება ზრდის მისდამი ნდობის ხარისხს. შესაბამისად, საკონსულტაციო დასკვნა, ისევე როგორც სასამართლოს სხვა გადაწყვეტილება, უნდა დასაბუთდეს, რათა პასუხი გაეცეს სამართლებრივ საკითხებს და ადგილი არ ჰქონდეს სამართლებრივ გაურკვევლობას.

თუ საკონსულტაციო დასკვნა მთლიანად ან ნაწილობრივ არ გამოხატავს მოსამართლეთა ერთსულოვან აზრს, ნებისმიერი მოსამართლე უფლებამოსილია, დაურთოს მას განსაკუთრებული აზრი.⁷ მაშასადამე, მოსამართლეებმა შეიძლება გამოხატონ განსხვავებული მოსაზრებები, როდესაც ადგილი აქვს მათ შორის აზრთა შეუთანხმებლობას.

საკონსულტაციო დასკვნის გაცემა ცალკე ოქმის სახით რეგულირდებოდა კონვენციის 1963 წლის n° 2 დამატებით ოქმში.⁸ გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნული ოქმის პირველი მუხლის მეორე

² მსგავსი ფუნქცია არ შეიძლება ჰქონდეს, მაგალითად, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს, რომელიც არცერთი საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით არ არის შექმნილი, არის დამოუკიდებელი, მუდმივმოქმედი ორგანო და მჭიდროდ თანამშრომლობს გაეროსთან.

³ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება. მუხლი 96. §1; მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს სტატუტი. მუხლი 65. §1.

⁴ ადამიანის და ხალხთა უფლებათა აფრიკული ქარტიის საფუძველზე (1981) 2008 წლის 20 ივნისს დაარსებული ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკული სასამართლოს რეგლამენტის 68-ე და 73-ე მუხლები. <http://www.african-court.org/fr/index.php/documents-legal-instruments/basic-documents>.

⁵ კორკელია კ., ქურდაძე ი. „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით“. ევროპის საბჭოს საინფორმაციო ბიურო საქართველოში. თბილისი. 2004. გვ.120.

⁶ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია. რომი. 1950. მუხლი 49 (1).

⁷ *Idem*, 49 (2).

⁸ Protocole n° 2 à la Convention de sauvegarde des Droits de l'Homme et des Libertés fondamentales, attribuant à la Cour européenne la compétence de donner des avis consultatifs.

პარაგრაფი მიუთითებდა კომისიის ფუნქციაზე, რომელიც შემდგომში გაუქმდა მე-11 ოქმით,⁹ შესაბამისად, აუცილებელი გახდა აღნიშნული ტექსტის შესწორება და თანხვედრა. მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, რომ მომხდარიყო მეორე ოქმის მე-11 ოქმში ინკორპორირება, და არა მეორე ოქმის გასწორება. გამომდინარე იქედან, რომ თავად მე-11 ოქმი მთლიანად იქნა ინკორპორირებული კონვენციის ტექსტში, შესაბამისად, საკონსულტაციო დასკვნის გაცემის რეგულაცია, რომელსაც მე-11 ოქმი გასწორებული სახით გვთავაზობს, ინკორპორირებულია კონვენციის 47-ე, 48-ე და 49-ე მუხლებში. ეს მუხლები თითქმის იდენტურია მე-2 დამატებითი ოქმის, მაგრამ ამოღებული იქნა კომისია, როგორც უკვე არარსებული ორგანო.

ამასთანავე, კონვენციის მეორე დამატებითი ოქმი ითვალისწინებდა მინისტრთა კომიტეტის დასწრების უფლების მქონე წარმომადგენელთა ორი მესამედის ხმების აუცილებლობას სასამართლოსათვის საკონსულტაციო დასკვნის მიმართვის უფლებისათვის. ორი მესამედის ხმების პირობა, კონვენციის მე-10 ოქმის საფუძველზე, შეიცვალა კომიტეტში დასწრების უფლების მქონე წარმომადგენელთა ხმების უმრავლესობით.¹⁰

2. სასამართლო პრაქტიკა

სასამართლოსადმი მიმართვა საკონსულტაციო დასკვნის გაცემის თხოვნით პირველად განხორციელდა 2004 წელს. მინისტრთა კომიტეტის თხოვნა ეხებოდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ადამიანის უფლებათა კონვენციას. სასამართლოს მიმართეს თხოვნით, გადაეწყვიტა, ჩაითვლებოდა თუ არა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ადამიანის უფლებების კომისია საერთაშორისო გამოძიების ან მოგვარების კიდევ ერთ ინსტანციად.¹¹

2004 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილებით, დიდმა პალატამ ერთხმად დაადგინა, რომ სასამართლოში შეტანილი თხოვნა არ ხვდებოდა საკონსულტაციო დასკვნის გაცემის კომპეტენციის ფარგლებში. კონვენციის 47-ე მუხლი გამოირიცხავდა სასამართლოს კომპეტენციას, რადგან საქმე ეხებოდა იმგვარ საკითხს, რაც მომავალში შეიძლებოდა გამხდარიყო კონვენციის სამართალწარმოების საგანი.

შემდგომი მიმართვა სასამართლოსადმი საკონსულტაციო დასკვნის გაცემის თაობაზე განხორციელდა 2008 წელს, როცა სასამართლომ მიიღო პირველი საკონსულტაციო დასკვნა. მინისტრთა კომიტეტის თხოვნის საფუძველზე, სასამართლოს დიდ პალატას საკონსულტაციო დასკვნაში უნდა შეეფასებინა ევროპული სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა სიების შემადგენლობის საკითხი, მდებარეობითი კანდიდატების წარმოუდგენლობის გამო.

აღნიშნულ შემთხვევაში, საპარლამენტო ასამბლეამ უარყო მალტის მიერ 2006 წელს შეთავაზებულ კანდიდატთა სია, რომელიც მხოლოდ მამრობითი სქესის წარმომადგენლობით იყო დაკომპლექტებული. სიის უარყოფის მიზეზი ის გახლდათ, რომ მასში არ ფიგურირებდა არცერთი მდებარეობითი სქესის წარმომადგენელი. საპარლამენტო ასამბლეა მიჩნევდა, რომ აღნიშნულით ადგილი ჰქონდა ქალთა დისკრიმინაციას და დარღვეული იყო გენდერული ბალანსი.

⁹ კონვენციის მე-11 ოქმმა, რომელიც ძალაში შევიდა 1998 წლის 1 ნოემბერს, კომისია შეცვალა სრული დატვირთვით მომუშავე სასამართლოთი. კომისიის ფუნქციებში შედიოდა სარჩელების მისაღებობის განხილვა, მორიგების პროცედურის ჩატარება, ფაქტების გამოძიება, დასკვნების შემუშავება და სასამართლოში საქმის აღქმა. მასხადადამე, პოლიტიკური ორგანო განიხილავდა სამართლებრივ საკითხებს. მე-11 ოქმმა გააუქმა კომისია და აღნიშნული უფლებები მიანიჭა თავად სასამართლოს.

¹⁰ 1992 წლის 25 მარტის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 ოქმის პირველი მუხლით გაუქმებული იქნა ძველი კონვენციის 32-ე მუხლის პირველი პარაგრაფის ჩანაწერი „ორი მესამედი“. აქედან გამომდინარე, მე-11 ოქმის ინკორპორირების შედეგად კონვენციის ახალი ტექსტის 47-ე მუხლიდან ამოღებული იქნა აღნიშნული პირობა.

¹¹ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის თანახმად სასამართლო არ განიხილავს წარდგენილ განაცხადს, თუ აღნიშნული საქმე გადაეცა საერთაშორისო გამოძიების ან მოგვარების სხვა ინსტანციას. მუხლი 35 (2 „ბ“).

კონვენციის თანახმად, მოსამართლეს, სახელმწიფოს მიერ წარდგენილი სამი კანდიდატისგან შემდგარი სიიდან, ხმათა უმრავლესობით ირჩევს საპარლამენტო ასამბლეა.¹² კონვენცია არ აკონკრეტებს კანდიდატების შერჩევის კრიტერიუმებს სქესის მიხედვით. მოსამართლეებისათვის წარდგენილი მოთხოვნები, რომელთაც კონვენცია სავალდებულოდ აცხადებს, არის ის, რომ მათ უნდა ახასიათებდეთ „მაღალი ზნეობრივი თვისებები ან/და უნდა ფლობდნენ მაღალი სამოსამართლო თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელ კვალიფიკაციას, ან უნდა იყვნენ აღიარებული კომპეტენტურობის მქონე სამართალმცოდნეები“.¹³

2008 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილებით, სასამართლომ თავის პირველ საკონსულტაციო დასკვნაში ერთხმად მიიჩნია, რომ საპარლამენტო ასამბლეის პრაქტიკა კანდიდატთა სიების უარყოფის შესახებ, მხოლოდ გენდერთან დაკავშირებული პრობლემის გამო, შეუთავსებელი იყო კონვენციასთან, მაშინ როცა წარმოდგენილი კანდიდატები სრულად აკმაყოფილებდნენ კონვენციის 21-ე მუხლის მოთხოვნებს. მითუმეტეს, როცა დაინტერესებული სახელმწიფო იღებდა ყველა აუცილებელ და სათანადო ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ სიაში მოხვედრილიყვნენ ნაკლებად წარმოდგენილი სქესის კანდიდატებიც.¹⁴

სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი სია, სასურველია, შეიცავდეს მინიმუმ ერთი განსხვავებული სქესის კანდიდატს და წარმდგენმა სახელმწიფომ უნდა მიმართოს ყველა ზომას, რათა კანდიდატთა სიაში ორივე სქესის კანდიდატები იყვნენ ასახულნი.

შეიძლება დავასკვნათ, რომ სქესის მიხედვით კანდიდატების შერჩევა ართულებს მათი შერჩევის საკითხს. შერჩევა უნდა მოხდეს არა სქესის, არამედ იმ კრიტერიუმების გათვალისწინებით, რომელთა შესრულებაც შემდგომში მას სამოსამართლო ფუნქციის განხორციელებისას დაევალება. შესაბამისად, ცალკეულ შემთხვევებში, შეიძლება, ადგილი ჰქონდეს კანდიდატთა სიაში რომელიმე სქესის წარმომადგენლის ნაკლები ოდენობით წარმოდგენას.

ჩვენს შემთხვევაში გენერალური ასამბლეა კანდიდატთა შერჩევის დროს დამატებით აყენებს იმ პირობებს, რომელსაც თავად მიიჩნევს შესაბამისად, მაშინ, როცა კონვენციის 21-ე მუხლი მიუთითებს მხოლოდ კანდიდატის მაღალ ზნეობრივ თვისებებზე და პროფესიულ კვალიფიკაციაზე.

თუმცა აღნიშნული არ ნიშნავს, რომ სქესის გათვალისწინების ფაქტორი სრულად იქნას უარყოფილი. დაინტერესებულმა სახელმწიფომ უნდა მიმართოს ყველა ზომას, როგორც ამას სასამართლო აღნიშნავს, რომ ორივე სქესის კანდიდატები თანაბრად იქნენ შერჩეულნი, მაგრამ ეს არ უნდა იყოს მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი კანდიდატების შერჩევის პროცესში და უპირატესობა უნდა მიენიჭოს მათ პროფესიულ თვისებებს. სახელმწიფოს მხრიდან სქესთა არათანაბარი წარმოდგენა, როდესაც დაცულია კონვენციის 21-ე მუხლის პირობები, არ უნდა გახდეს კანდიდატთა განხილვაზე უარის თქმის მიზეზი. აღნიშნული დასკვნა შეიძლება გაკეთდეს იქედან გამომდინარე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ ითვალისწინებს რაიმე სპეციალურ წესს, რომელიც გენდერულ პარიტეტს სავალდებულოდ მიიჩნევდა.

ამგვარი წესი გააჩნიათ მხოლოდ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოსა¹⁵ და ადამიანისა და ხალხთა უფლებათა აფრიკულ სასამართლოებს¹⁶, რომელიც მათ შემადგენლობაში ქალისა და მამაკაცის თანაბრად წარმოდგენის ვალდებულებას ითვალისწინებს.

რაც შეეხება ეროვნულ სასამართლოებს, ამგვარი ვალდებულება ჩადებულია ავსტრიის, ბელგიისა და ლატვიის კანონმდებლობაში, რომლის თანახმადაც მათი უზენაესი და კონსტიტუციური სასამართლოები გენდერული თანასწორობით უნდა იქნენ წარმოდგენილნი.

¹² *idem*, (22).

¹³ *idem*, (21).

¹⁴ Avis consultatif sur certaines questions juridiques relatives aux listes de candidats présentées en vue de l'élection des juges de la Cour européenne des droits de l'homme. Cour EDH, G.C, 12 février 2008.

¹⁵ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება. 1998 წ. მუხლი 36. პუნქტი 8. (იიი).

¹⁶ Protocole relatif à la Charte Africaine portant sur la Création d'une Cour Africaine des Droits de l'Homme et des Peuples. Le 10 juin 1998. Article 12 §2.

აღსანიშნავია, რომ შემდგომში მალტის მიერ მოხდა მხოლოდ მდებარეობითი სქესის კანდიდატთა წარმოდგენა. იმ შემთხვევაში, თუ საპირისპირო სქესის სიის წარმოდგენა სახელმწიფოს მხრიდან საპარლამენტო ასამბლეამ ქალთა დისკრიმინაციად შეაფასა, მაშინ მხოლოდ ისეთი სიის წარმოდგენა, სადაც მხოლოდ მდებარეობითი სქესი ფიგურირებს, უკუდისკრიმინაციად შეიძლება შეფასდეს.

თავისი არსებობის მანძილზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მეორე საკონსულტაციო დასკვნა გასცა 2010 წელს. მინისტრთა კომიტეტის თხოვნით, სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა საპარლამენტო ასამბლეის მიერ მოსამართლეთა არჩევის პროცედურა. კერძოდ, უკრაინას, რომელსაც წარდგენილი ჰქონდა მოსამართლეობის კანდიდატთა სია საპარლამენტო ასამბლეაში, სურდა, უკან გაეთხოვა იგი, ერთი წევრის უარის თქმის გამო. შემდეგ კი უნდა წარედგინა განახლებული სია. საპარლამენტო ასამბლეა მიიჩნევდა, რომ უკრაინას უნდა შეევესო უკვე წარმოდგენილი სია და დაემატებინა მხოლოდ ერთი კანდიდატი, ანუ შეევესო მხოლოდ ერთი გამოთავისუფლებული ადგილი.

სასამართლომ 2010 წლის 22 იანვრის საკონსულტაციო დასკვნაში მიიჩნია, რომ თუ ხელშემკვრელ მხარეს აქვს სრული თავისუფლება, შეადგინოს კანდიდატთა სია და ამ მხრივ არანაირი კანონიერი ჩარევა ევროსაბჭოს მხიდან არ ხდება, მაშინ მას შეუძლია, თავისი მიზეზით ამოიღოს კიდევ სიიდან კანდიდატი. ერთადერთი შეზღუდვა, რომელიც შეიძლება ხელშემკვრელ მხარეს ჰქონდეს, არის ის, რომ ხელი არ შეუშალოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ არჩევნების პროცედურის ნორმალურ მსვლელობას და არ დაარღვიოს ამ პროცედურის გრაფიკი. ამ მხრივ, აუცილებელია ბოლო ვადის დაწესება სახელმწიფოსთვის, რათა აღნიშნული პროცედურები არ დაირღვეს.¹⁷ მანამდე კი სახელმწიფო სრულად არის თავისუფალი შეცვალოს ან შეასწოროს თავდაპირველად წარდგენილი სია.

3. მე-16 ოქმის სამართლებრივი უსწორობანი

ევროსაბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის მე-16 დამატებითმა ოქმმა ერთგვარი სიახლე შემოიტანა სტრასბურგის სასამართლო პრაქტიკაში. აღნიშნული ოქმის თანახმად, მაღალი ხელშემკვრელი მხარეების უმაღლეს იურისდიქციებს (საქართველოს შემთხვევაში უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოები), სათანადო საფუძვლების არსებობისას, შეუძლიათ, საკონსულტაციო დასკვნის გაცემის მოთხოვნით, მიმართონ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს თავის წარმობაში არსებულ საქმესთან დაკავშირებით.¹⁸ საკონსულტაციო დასკვნას გასცემს დიდი პალატა. განხილვაში მონაწილეობს მაღალი ხელშემკვრელი მხარის წარმომადგენელი მოსამართლე *ex officio* წესით.

მე-16 ოქმი კრძალავს კონვენციის 57-ე მუხლით გათვალისწინებულ ყოველგვარ დათქმას. განსხვავებით სხვა ოქმებისაგან, იგი არ იქნება სავალდებულო კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებისათვის და გამოყენებული იქნება მხოლოდ ხელმომწერი სახელმწიფოების მიმართ. ოქმი ძალაში შედის მხოლოდ მას შემდეგ, რაც ევროსაბჭოს წევრი 10 სახელმწიფო მოახდენს მის რატიფიკაციას.

ოქმის პრეამბულის მიხედვით, აღნიშნული სიახლის მიზანია სტრასბურგის სასამართლოსა და ეროვნულ იურისდიქციებს შორის ურთიერთქმედების გაღრმავება და სუბსიდიურობის პრინციპის გამყარება. ამასთანავე, ცხადია, თუ ეროვნული იურისდიქციები სტრასბურგის სასამართლოს დასკვნებს გაითვალისწინებენ და საკითხს კონვენციის შესაბამისად გადანყვეტენ, ნაკლები სარჩელი შევა სტრასბურგის სასამართლოში, რაც სარგებელს მოუტანს როგორც მხარეებს, ასევე ხელს შეუწყობს სასამართლოს განტვირთვას.

როგორც ვიცით, სტრასბურგის სასამართლო არ არის ეროვნული სასამართლო ხელისუფლების ზემდგომი ინსტანცია. ამ ორგანოს არ შეუძლია შეცვალოს ეროვნული ნორმატიული ან ინდივიდუალ-

¹⁷ Avis consultatif sur certaines questions juridiques relatives aux listes de candidats présentées en vue de l'élection des juges de la Cour européenne des droits de l'homme (n° 2) (Cour EDH, G.C., 22 janvier 2010). (§ 46).

¹⁸ Protocole n°16 à la Convention de sauvegarde des Droits de l'homme et des Liberté fondamentales. Strasbourg, 2.X.2013. Art. 1.

ური აქტი.¹⁹ თავისი სუბსიდიური ხასიათიდან გამომდინარე, იგი განიხილავს უფლებათა დარღვევის კონკრეტულ ფაქტებს, რომელთა მოგვარებაც ვერ მოხერხდა ეროვნულ დონეზე და შეუძლია, დააფიქსიროს მხოლოდ კონვენციის კონკრეტული მუხლის დარღვევა. გადაწყვეტილება საქმეზე „ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ“ გამოაკლისად შეიძლება მივიჩნიოთ, სადაც სასამართლომ გამოსცა შედეგობრივი განკარგულება მომჩივანის დაუყოვნებლივ განთავისუფლების შესახებ.²⁰ „კონვენცია ეს არის სუბსიდიური სისტემა, რომელიც ყველაზე უფრო ეფექტიანად და საიმედოდ მაშინ მოქმედებს, როდესაც გასაჩივრებული დარღვევები ეროვნულ სასამართლოშივე შეიძლება შემონმდეს.²¹

შეიძლება ითქვას, რომ 2013 წლის 2 ოქტომბრის მე-16 ოქმი გარკვეულწილად წარმოადგენს აღნიშნული სუბსიდიურობის პრინციპიდან ერთგვარ გადახვევას. მსგავს შემთხვევაში სტრასბურგის სასამართლო გვევლინება როგორც ეროვნული სასამართლო გადაწყვეტილების მიღების მთავარი მამოძრავებელი ძალა, მაშინ როდესაც იგი მეორადი, ანუ სუბსიდიური ხასიათის შეიძლება იყოს და იმსჯელოს მხოლოდ ეროვნული უმაღლესი იურისდიქციების მიერ მიღებული გადაწყვეტილების კონვენციასთან შესაბამისობაზე.

მაშასადამე, მე-16 ოქმი ზღუდავს სწორედ იმ პრინციპს, რომლის გამყარებასაც პრეამბულაში თავად უსვამს ხაზს და რასაც ოქმის მთავარ მიზნად და შინაარსად მიიჩნევს.

ამასთანავე, იზღუდება ეროვნული იურისდიქციების დამოუკიდებლობის ხარისხი, ვინაიდან სტრასბურგის სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნა ეროვნული სასამართლოების მიერ შესაძლებელია აღქმული იქნეს როგორც მითითება, თუ როგორი გადაწყვეტილება უნდა მიიღონ კონკრეტულ საქმეზე. მართალია, ოქმის მიხედვით, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნას არა აქვს სავალდებულო ხასიათი, მაგრამ ეროვნული სასამართლოსათვის საერთაშორისო სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნას უდაოდ დიდი გავლენა შეიძლება ჰქონდეს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. შესაბამისად, ირღვევა სასამართლოს დამოუკიდებლობის საერთაშორისოდ აღიარებული ფუნდამენტური პრინციპი.

მე-16 ოქმში სრული ბუნდოვანებაა, როგორ გადაწყდება საკითხი, თუ საკონსულტაციო დასკვნა მიუთითებს კონსტიტუციის კონვენციასთან შეუსაბამობას. რას უნდა დაეყრდნოს სასამართლო ასეთ შემთხვევაში – ეროვნულ კონსტიტუციას თუ კონვენციას?

საქართველოს კანონმდებლობა აღიარებს საერთაშორისო სამართლის პრიმატს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საერთაშორისო ნორმა არ ეწინააღმდეგება თავად კონსტიტუციას ან კონსტიტუციურ კანონს.²² შესაბამისად, ზემოთ აღნიშნულ სიტუაციაში ეროვნული სასამართლო იძულებული გახდება დაეყრდნოს კონსტიტუციას და დაარღვიოს კონვენცია.

მე-16 ოქმი ეწინააღმდეგება ასევე თავად კონვენციის 47-ე მუხლით გაცხადებულ საკონსულტაციო დასკვნის პრინციპს. აღნიშნული მუხლის მიხედვით საკონსულტაციო დასკვნა არ უნდა ეხებოდეს კონვენციითა და მისი ოქმებით დაცული უფლებებების განმარტებას. მან არ უნდა გასცეს საკონსულტაციო დასკვნა ისეთ საქმეზე, რომელიც მომავალში შეიძლება გახდეს სამართალწარმოების საგანი და სასამართლოს დავის რეჟიმში მოუწიოს ამ საქმის განხილვა. 47-ე მუხლის აკრძალვა გამოდინარეობს მყარი ლოგიკიდან, რომ საქმის განხილვის პროცესში სასამართლო არ მოექცეს თავის მიერ გაცემული საკონსულტაციო დასკვნის გავლენის ქვეშ.

¹⁹ საქმეში სელმუნი საფრანგეთის წინააღმდეგ სასამართლო უთითებს, რომ იგი ვერ გასცემს ბრძანებას, რომლის შესრულებაც სავალდებულო გახდება ეროვნულ დონეზე. განმცხადებელი მოითხოვდა, დარჩენილი ვადა მოეხადა ნიდერლანდების ციხეში. ნიდერლანდების მხარე არ იყო ამის წინააღმდეგი. სტრასბურგის სასამართლომ განმარტა, რომ, კონვენციის თანახმად, მას არა აქვს უფლებამოსილება, გასცეს ამგვარი ბრძანება. AFFAIRE SELMOUNI c. FRANCE. (Requête n° 25803/94) 28 juillet 1999.

²⁰ ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ. (საჩივარი no. 71503/01) 2004 წლის 8 აპრილი. §202,203.

²¹ ვილდჰაბერი ლ., „ადამიანის უფლება: როგორ უნდა იცავდეს მას სტრასბურგისა და ეროვნული სასამართლოები“, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 1, 2002 წელი, გვ. 60.

²² საქართველოს კონსტიტუცია. 1995 წლის 24 აგვისტო. მუხ. 6.

ეროვნულ სასამართლოებში საკონსულტაციო დასკვნის გაცემა კონვენციის აღნიშნული მუხლის უხემ დარღვევად შეიძლება შეფასდეს, ვინაიდან მხარეებს არ ეკრძალებათ საკონსულტაციო დასკვნის მიღების შემდეგ საქმე გაასაჩივრონ სტრასბურგის სასამართლოში. მსგავსი აკრძალვა არც შეიძლება დაუნესდეთ მხარეებს, რადგან შეიზღუდება კონვენციის 34-ე მუხლით გათვალისწინებული ინდივიდუალური განაცხადის პირობები, რომლის თანახმადაც ნებისმიერ ფიზიკურ პირს უფლება აქვს მიმართოს ევროპის სასამართლოს.

ამგვარად, იგივე საკითხი, რომელზეც უკვე სტრასბურგის სასამართლოს გაცემული აქვს საკონსულტაციო დასკვნა ეროვნულ დონეზე, შეიძლება გახდეს შემდგომში მისი განხილვის საგანი. ასეთ შემთხვევაში, სასამართლო აღმოჩნდება მის მიერ გაცემული საკონსულტაციო დასკვნის მძევალი და უგულველყოფილი იქნება კონვენციის 47-ე მუხლის მოთხოვნები.

თუ ეროვნული სასამართლო შეძლებს საკონსულტაციო დასკვნის გავლენისაგან თავის დაღწევას, მაშინ ვაწყდებით არანაკლებ შეუსაბამობას - რატომ გააგზავნა ეროვნულმა სასამართლომ საქმე საერთაშორისო სასამართლოში, როდესაც მის აზრს არ ითვალისწინებს? ასეთ შემთხვევაში ძნელი გახდება მხარეებისათვის დამაჯერებელი პოზიციის დასაბუთება და შეირყევა ეროვნული იურისდიქციის ნდობის საკითხი.

გარდა ამისა, ეროვნული უმაღლესი იურისდიქცია იდეაში წარმოადგენს ყველაზე მაღალი იურისდიქციის კომპეტენციის მქონე ორგანოს ქვეყანაში. მის მიერ საკონსულტაციო დასკვნის მისაღებად სხვა, თუნდაც საერთაშორისო სასამართლოსადმი მიმართვა, აკნინებს ამ ორგანოს და მას სამართლებრივი საკითხებისადმი ნაკლებად განსწავლულად წარმოაჩენს. ევროსაბჭოს სხვა სტრუქტურული ერთეულისათვის სამართლებრივ საკითხებზე განმარტების მიცემა ხშირ შემთხვევაში შეიძლება აუცილებელიც კი გახდეს, ვინაიდან პოლიტიკურმა ორგანომ ვერ გაართვას თავი სამართლებრივი საკითხების სწორად გადაწყვეტას, მაგრამ იურისდიქციის ორგანოსათვის სამართლებრივი საკითხების განმარტების თხოვნა, გარკვეულ უხერხულობას წარმოქმნის ეროვნული უმაღლესი სასამართლოებისათვის მათი კომპეტენციის შეფასებიდან გამომდინარე. აღნიშნული გვაფიქრებინებს, რომ ეროვნულ უმაღლეს იურისდიქციას არა აქვს გადაწყვეტილების მიღების უნარი.

ამჟამად, ევროსაბჭოს 47 წევრი ქვეყნიდან თექვსმეტ სახელმწიფოს აქვს ხელი მოწერილი ოქმზე, მათგან რატიფიკაცია მოახდინეს სან მარინოსა და სლოვენიის რესპუბლიკებმა.²³

საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის 4 მარტს მოახდინა აღნიშნული ოქმის რატიფიკაცია.²⁴

დასკვნა

მაშასადამე, საკონსულტაციო დასკვნის გაცემა სტრასბურგის სასამართლოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა, რომელიც ხელს უწყობს ისეთი პროცედურული საკითხების სამართლებრივ გადაწყვეტას, რომლებიც კონვენციაში ზუსტად არ არის დარეგულირებული.

თავისი არსებობის მანძილზე სტრასბურგის სასამართლოს გაცემული აქვს მხოლოდ ორი საკონსულტაციო დასკვნა. უნდა ველოდოთ თუ არა ამ მნიშვნელოვანი ფუნქციის უფრო მეტი დატვირთვით შესრულებას, ამას დრო გვიჩვენებს, მაგრამ ფაქტია, რომ საკონსულტაციო დასკვნების გაცემას სასამართლოს მხრიდან, პრაქტიკაში შემოაქვს მეტი სიცხადე სამართლებრივი დასაბუთების თვალსაზრისით. პოლიტიკურმა ორგანომ - საპარლამენტო ასამბლეამ, შეიძლება ვერ გაართვას თავი სამართლებრივი საკითხების სწორად გადაწყვეტას, რაშიც საკონსულტაციო დასკვნას უდაოდ დიდი

²³ <http://www.conventions.coe.int/Treaty/Commun/ChercheSig.asp?NT=214&CM=1&DF=&CL=FRE> (ბოლოს გადამოწმებულია 2/04/2015).

²⁴ საქართველოს პარლამენტის დადგენილება „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-16 ოქმის“ რატიფიცირების თაობაზე. ქუთაისი. 4 მარტი 2015 წ. N3139-III

როლი ეკისრება. თუმცა, ეროვნული უმაღლესი იურისდიქციების მიერ, საქმის განხილვის პროცესში, სამართლებრივი საკითხებისადმი განმარტების თხოვნამ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსათვის, მათი დამოუკიდებლობის ხარისხის შეზღუდვა და გარკვეული სამართლებრივი შეუთავსებლობა შეიძლება გამოიწვიოს.

იმედი ვიქონიოთ, რომ ევროსაბჭოს სახელმწიფოები, რომელთათვისაც მნიშვნელოვანია თავიანთი ქვეყნის იურისდიქციების დამოუკიდებლობა, არ მოახდენენ აღნიშნული ოქმის რატიფიკაციას და მე-16 დამატებითი ოქმი არასოდეს შევა ძალაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

A. სახელმძღვანელოები, კუალიკაციები:

1. გოცირიძე ე. „გამოხატვის თავისუფლება კონფლიქტურ ღირებულებათა სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში“. თსუ. 2008წ.
2. ვილდჰაბერი ლ. „ადამიანის უფლება: როგორ უნდა იცავდეს მას სტრასბურგისა და ეროვნული სასამართლოები“, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 1, 2002წ.
3. კორკელია კ, ქურდაძე ი. „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით“. ევროპის საბჭოს საინფორმაციო ბიურო საქართველოში. თბილისი. 2004წ.
4. ლიჩი ფ. „როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს“. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია. თბილისი. 2013წ.

B. ნორმატიული აქტები:

1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. გაეროს გენერალური ასამბლეა. 1948 წლის 10 დეკემბერი.
2. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია. რომი. 1950 წლის 4 ნოემბერი.
3. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-2, მე-6, მე-10 და მე-11, მე-16 ოქმები.
4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რეგლამენტი. სტრასბურგი. 2006.
5. ადამიანის და ხალხთა უფლებათა აფრიკული ქარტიის საფუძველზე დაარსებული ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკული სასამართლოს რეგლამენტი. 2010.
6. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება და მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს სტატუტი. 1945 წლის 25 ივნისი. სან-ფრანცისკო.
7. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება. 1998 წლის 17 ივნისი.
8. Protocole relatif à la Charte Africaine portant sur la Création d'une Cour Africaine des Droits de l'Homme et des Peuples. Le 10 juin 1998.
9. Reflection Paper on the Proposal to Extend the Court's Advisory Jurisdiction.

C. სასამართლოს გადაწყვეტილებები და საკონსულტაციო დასკვნები:

1. AFFAIRE POWELL ET RAYNER c. ROYAUME-UNI. CEDH (*Requête N9310/81*). STRASBOURG. 21 février 1990.
2. AFFAIRE LÓPEZ OSTRA c. ESPAGNE. CEDH (*Requête N16798/90*). STRASBOURG. 09 décembre 1994.
3. AFFAIRE NIEMIETZ c. ALLEMAGNE. CEDH (*Requête N13710/88*). 16 décembre 1992.
4. Avis consultatif sur certaines questions juridiques relatives aux listes de candidats présentées en vue de l'élection des juges de la Cour européenne des droits de l'homme. Cour EDH, G.C, 12 février 2008.
5. Avis consultatif sur certaines questions juridiques relatives aux listes de candidats présentées en vue de l'élection des juges de la Cour européenne des droits de l'homme (*n° 2*) Cour EDH, G.C, 22 janvier 2010.